

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის
ბრძანება №01-53/ნ

2014 წლის 18 ივლისი ქ. თბილისი

მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის
(სამკურნალო საშუალების) რეცეპტის გამოწერის წესისა და ფორმა №3 -
რეცეპტის ბლანკის ფორმის დამტკიცების შესახებ

„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების, 11² მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის მე-10 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს:

ა) მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) რეცეპტის გამოწერის წესი (დანართი №1);

ბ) ფორმა №3 რეცეპტის ბლანკის ფორმა (დანართი №2).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) გამოწერის ინსტრუქციისა და რეცეპტის (ფორმა №3) ნიმუშის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №01-9/ნ ბრძანება.

3. ბრძანება ამოქმედდეს 2014 წლის 1 სექტემბრიდან.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

დიმიტრი მახათაძე

დანართი №1

მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების)
რეცეპტის გამოწერის წესი

მუხლი 1.

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული რეცეპტით გასაცემი მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) (შემდგომში - ფარმაცევტული პროდუქტი) უნიფიცირებული ფორმით გამოწერის ინსტრუქციას.

2. რეცეპტით გასაცემი ფარმაცევტული პროდუქტი, მატერიალურად (რეცეპტი ქაღალდის მატარებელზე) გამოიწერება ამ ბრძანების დანართი №2-ით დამტკიცებულ ფორმა №3 რეცეპტზე (შემდგომში - რეცეპტი). (20.07.2016 N 01-27/ნ)

3. რეცეპტის ელექტრონულად (ელექტრონული რეცეპტი) ბრუნვის წესი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით. (20.07.2016 N 01-27/ნ)

მუხლი 2.

1. ფარმაცევტულ პროდუქტს ნიშნავს და რეცეპტზე გამოწერს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი - სერტიფიცირებული ექიმი-სპეციალისტი (შემდგომში - ექიმი).

1¹. დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის განხორციელებისას, მიუხედავად საექიმო საქმიანობის განხორციელების ადგილისა, ექიმი ვალდებულია, გამოწეროს რეცეპტი პაციენტისათვის მიცემული დანიშნულების შესაბამისად, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისებისა და იმ შემთხვევებისა, როდესაც სამედიცინო მომსახურების გამწევი სუბიექტის მიერ ფარმაცევტული პროდუქტ(ებ)ის გამოყენება სამედიცინო მომსახურების ნაწილია. (21.10.2014 N01-75/5)

1². ექიმის მიერ პაციენტისათვის მატერიალური ფორმით (ქალაქის მატარებელზე) მიცემული დანიშნულება უნდა მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო ინფორმაციას:(11.07.2018 N01-31/5 ამოქმედდეს 2018 წლის 16 ივლისიდან)

ა) სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი პირის/დაწესებულების დასახელებას;

ბ) სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდს;

გ) სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი პირის/დაწესებულების მისამართს;

დ) სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი პირის/დაწესებულების ელექტრონულ მისამართს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) პაციენტის სახელს, გვარს, პირად ნომერს, დაბადების თარიღს;

ვ) პაციენტის დანიშნულების სრულ ჩამონათვალს (მათ შორის, ურეცეპტოდ გასაცემის) – დასახელებას, ფორმას, დოზას, რაოდენობას და მიღების წესს (რომელშიც აღნიშნულია პროდუქტის მიღების სიხშირე და ხანგრძლივობა, შეყვანის გზები და პაციენტისათვის საჭირო სხვა ინფორმაცია), ჩამონათვალი უნდა იყოს გადანომრილი;

ზ) ექიმის სახელს, გვარს, დანიშნულების გაცემის თარიღს; დანიშნულება უნდა იქნეს დამოწმებული ექიმის ხელმოწერით.

2. აკრძალულია:

ა) საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე (არარეგისტრირებული) ფარმაცევტული პროდუქტის რეცეპტზე გამოწერა;

ბ) სანარკოზე საშუალებების და პერიფერიული მიორელაქსანტების რეცეპტზე გამოწერა და საცალო რეალიზაცია.

3. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის („საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილება) ფარგლებში, პროგრამით გათვალისწინებული ქიმიოთერაპიული პრეპარატების გაცემა აფთიაქიდან პაციენტზე ხორციელდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელსა და სააფთიაქო დაწესებულებას შორის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ანგარიშსწორების წესის საფუძველზე, ფორმა №3 რეცეპტის გამოყენების გარეშე. (3.09.2014 N 01-59/5 გავრცელდეს 2014 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე)

(3. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის („საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილება) ფარგლებში, პროგრამით გათვალისწინებული ქიმიოთერაპიული პრეპარატების გაცემა აფთიაქიდან პაციენტზე ხორციელდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელსა და სააფთიაქო დაწესებულებას შორის საქართველოს ოკუპირებული

ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ანგარიშსწორების წესის საფუძველზე, ფორმა №3 რეცეპტის გამოყენების გარეშე. (27.11.2018 N 01-33/ნ ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან))

მუხლი 3.

1. რეცეპტის ბლანკი დანომრილია და შედგება სამი (A, B და C) განყოფილებისაგან.
2. რეცეპტის A განყოფილება წარმოადგენს რეცეპტის ძირითად ნაწილს, რომელსაც ავსებს ექიმი.
3. რეცეპტის A განყოფილებაში სავალდებულოა შეივსოს: (3.09.2014 N 01-59/ნ გავრცელდეს 2014 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე)
 - ა) სამედიცინო დაწესებულების დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); (20.07.2016 N 01-27/ნ)
 - ბ) რეცეპტის გამომწერი ექიმის სახელი, გვარი;
 - გ) პაციენტის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი; (20.07.2016 N 01-27/ნ)
 - დ) რეცეპტის გამოწერის თარიღი;
 - ე) გამოწერილი ფარმაცევტული პროდუქტის დასახელება, ფორმა, დოზა, რაოდენობა და მიღების წესი;
 - ვ) რეცეპტის მოქმედების ვადა.
4. რეცეპტის A განყოფილება მოწმდება გამომწერი ექიმის ხელმოწერითა და პირადი ბეჭდით ან გამომწერი ექიმის ხელმოწერითა და სამედიცინო დაწესებულების ბეჭდით (შტამპი).
5. რეცეპტში დამატებით შესაძლებელია მიეთითოს რეცეპტის გამომწერი ექიმის და პაციენტის პირადი ნომრები (პ/ნ), ასევე, რეცეპტის გამომწერი ექიმის და/ან სამედიცინო დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი და/ან მისამართი). (3.09.2014 N 01-59/ნ გავრცელდეს 2014 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე)
6. რეცეპტში, როგორც ფარმაცევტული პროდუქტის სახელწოდება, ისე ყველა სხვა პუნქტი, უნდა შეივსოს გარკვევით.
7. რეცეპტზე ფარმაცევტული პროდუქტი გამოიწერება გენერიკული დასახელებით (საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია, დამატებით მიეთითოს სავაჭრო დასახელებაც). არაგენერიკული და კომბინირებული ფარმაცევტული პროდუქტი გამოიწერება სავაჭრო დასახელებით. (3.09.2014 N 01-59/ნ გავრცელდეს 2014 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე)
8. რეცეპტში ფარმაცევტული პროდუქტის დასახელება (მათ შორის, ოფიცინალური ან მაგისტრალური რეცეპტით დასამზადებელი პრეპარატის შემადგენლობა), ფორმა და დოზა იწერება სახელმწიფო ან ლათინურ ენაზე. ლათინური შემოკლებების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ სამედიცინო და ფარმაცევტულ პრაქტიკაში დაშვებული ძირითადი სარეცეპტურო შემოკლებებით (დანართი №1.1).
9. ფარმაცევტული პროდუქტის მიღების წესი, რომელშიც მითითებულია ფარმაცევტული პროდუქტის მიღების სიხშირე და ხანგრძლივობა, შეყვანის გზები და პაციენტისათვის საჭირო სხვა ინფორმაცია, იწერება სახელმწიფო ენაზე.
10. რეცეპტის მოქმედების ვადას, დიაგნოზისა და მკურნალობის კურსის ხანგრძლივობის შესაბამისად, ადგენს ექიმი.
11. ქრონიკული ან ხანგრძლივად მიმდინარე დაავადებების, ასევე კონტრაცეფციის ორალური საშუალებების შემთხვევაში გამოწერილი რეცეპტის ვადა განისაზღვრება არაუმეტეს ერთი წლით.
12. ერთ რეცეპტზე გამოიწერება ერთი ფარმაცევტული პროდუქტი.

13. ნებადართულია რეცეპტის მრავალჯერადად გამოყენება, რეცეპტის მოქმედების ვადისა და ფარმაცევტული პროდუქტის გამოწერილი რაოდენობის ამოწურვამდე.

14. რეცეპტის B და C განყოფილება ივსება აფთიაქში რეალიზაციაზე უფლებამოსილი პირის მიერ.

15. რეცეპტის B განყოფილების თითოეული ნაწილი უნდა დამოწმდეს ამ დაწესებულების ან „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ფარმაცევტული განათლების მქონე პერსონალის ან დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის სუბიექტის - ფიზიკური პირის ბეჭდით.

16. რეცეპტის C განყოფილებაში ფარმაცევტული პროდუქტის დასახელება მიეთითება სავაჭრო დასახელებით.

17. აფთიაქში რეცეპტის წარდგენისას და რეცეპტზე გამოწერილი ფარმაცევტული პროდუქტის არასრულად შეძენისას, C განყოფილებაში შევსებულ უჯრას იტოვებს აფთიაქი, ხოლო B განყოფილება რჩება რეცეპტის ძირითად A ნაწილთან ერთად.

18. რეცეპტის ვადის ამოწურვის, ან გამოწერილი ფარმაცევტული პროდუქტის სრულად გაცემის შემთხვევაში, რეცეპტი რჩება აფთიაქს.

19. აფთიაქის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, ფარმაცევტული პროდუქტის გაცემისას C განყოფილების შევსებული ვერსია და/ან რეცეპტი შეინახოს ფარმაცევტული პროდუქტის გაცემიდან 6 თვის განმავლობაში.

20. ექიმმა რეცეპტის გამოწერისას უნდა იხელმძღვანელოს „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით.

21. დაუშვებელია რეცეპტის გამოყენება რეკლამის მიზნით.

მუხლი 4.

1. რეცეპტი, რომელიც არ იძლევა პაციენტისათვის საჭირო ფარმაცევტული პროდუქტის და/ან რეცეპტის გამოწერის განსაზღვრის საშუალებას, მიიჩნევა გაუქმებულად და აფთიაქში მისი წარდგენისას ფარმაცევტული პროდუქტი არ გაიცემა. ასეთი რეცეპტი გადაიხაზება, მიეთითება გაუცემლობის მიზეზი და უბრუნდება პაციენტს. (3.09.2014 N 01-59/6 გავრცელდეს 2014 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე)

2. რეცეპტზე გამოსაწერი ფარმაცევტული პროდუქტის ურეცეპტოდ რეალიზაცია წარმოადგენს ფარმაცევტული საქმიანობის წესების დარღვევას და გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

დანართი №1.1

ძირითადი სარეცეპტურო შემოკლებები

შემოკლება	სრული დამწერლობა	თარგმანი
aa	ana	თანაბრად
amp.	ampula	ამპულა
aq.destil.	aqua destillata	გამობდილი წყალი
comp.	Compositus (a, um)	რთული
D.	Da (Dentur)	გაეცი, გაცემულ იქნეს
D.S.	Da, Signa	გაეცი და აღნიშნე
D.t.d.	Da (Dentur) tales doses	გაეცი ასეთი დოზებით

dil.	dilutus	განზავებული
dv in p. aeq.	Divide in partes aequales	გაყავი თანაბარ ნაწილებად
extr.	extractum	ექსტრაქტი, გამონაწვლილი
gut.	gutta, guttae	წვეთი, წვეთები
inf.	infusum	გამონაცემი
in amp.	in ampullis	ამპულაში
in tab.	in tabulettis	ტაბლეტებში
lin.	Linimentum	თხევადი მალამო
liq.	liquor	სითხე
M.	Misce	შეურიე
n.	numero	რიცხვით
ol.	oleum	ზეთი
pulv.	pulvis	ფხვნილი
q.s.	quantum satis	რამდენიც საჭიროა (დასჭირდება)
rad.	Radix	ფესვები
Rp.	Recipe	აიღე
Rep.	Repete	გაიმეორე, განმეორებულ იქნეს
rhiz.	Rhizoma	ფესურები
S.	Signa, Signatur	აღნიშნე, აღნიშნულ იქნეს
simpl.	simplex	მარტივი
sir.	sirupus	სიროფი
sol.	solutio	ხსნარი
supp.	suppositorium	სუპოზიტორი
tab.	Tabulettae	ტაბლეტი
tinct.	tinctura	ნაყენი
ung.	unguentum	მალამო
vit.	vitrum	სინჯარა
praec.	praecipitatus	დალექილი
pro autore, pro me	pro autore, pro me	ჩემთვის (რეცეპტის გამომწერისათვის)

დანართი №2 (20.07.2016 N 01-27/6)

№000000 ფორმა №3 რეცეპტი სამედიცინო დაწესებულება ----- ----- საიდენტიფიკაციო კოდი ----- ექიმი ----- (სახელი, გვარი) ექიმის პ/ნ* ----- პაციენტი ----- (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი) პაციენტის პ/ნ* ----- რეცეპტის გამომწერის თარიღი ----- რეცეპტის მოქმედების ვადა ----- Rp. ----- ----- ----- ----- D.S. ----- ----- ----- ექიმის ხელმოწერა ----- ექიმის პირადი ბეჭედი ბ.ა. სამედიცინო დაწესებულების ბეჭედი (შტამპი) ბ.ა. რეცეპტის გამომწერი ექიმის და/ან სამედიცინო დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაცია* -----	№ 000000 B წ/რაოდენობა ----- თარიღი ----- ბ.ა.	№000000 C წ/დასახელება (სავაჭრო დასახელება) ----- წ/ფორმა ----- წ/რაოდენობა ----- თარიღი -----
	№ 000000 B წ/რაოდენობა ----- თარიღი ----- ბ.ა.	№000000 C წ/დასახელება (სავაჭრო დასახელება) ----- წ/ფორმა ----- წ/რაოდენობა ----- თარიღი -----
	№ 000000 B წ/რაოდენობა ----- თარიღი ----- ბ.ა.	№000000 C წ/დასახელება (სავაჭრო დასახელება) ----- წ/ფორმა ----- წ/რაოდენობა ----- თარიღი -----
	№ 000000 B წ/რაოდენობა ----- თარიღი ----- ბ.ა.	№000000 C წ/დასახელება (სავაჭრო დასახელება) ----- წ/ფორმა ----- წ/რაოდენობა ----- თარიღი -----
	№ 000000 B წ/რაოდენობა ----- თარიღი ----- ბ.ა.	№000000 C წ/დასახელება (სავაჭრო დასახელება) ----- წ/ფორმა ----- წ/რაოდენობა ----- თარიღი -----
	№ 000000 B წ/რაოდენობა ----- თარიღი ----- ბ.ა.	№000000 C წ/დასახელება (სავაჭრო დასახელება) ----- წ/ფორმა ----- წ/რაოდენობა ----- თარიღი -----

* რეცეპტის გამომწერი ექიმისა და პაციენტის პირადი ნომრების, ასევე, რეცეპტის გამომწერი ექიმის და/ან სამედიცინო დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაციის მითითება არ არის სავალდებულო.